საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეპარტამენტი

თბილისი 0114, რუსთაველის გამზ. №8
ტელ: (995 32) 2281394
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

საქართველოს პარლამენტი

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

8 Rustaveli Avenue, 0114,Tbilisi,Georgia,
(995 32) 2281394
e-mail: legaldep@parliament.ge

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრების გოგი მეშველიანის, გელა სამხარაულის, სალომე ჯინჯოლავას, ქეთევან ჩარკვიანის, სალომე ქურასბედიანის, ირაკლი კირცხალიას, სავალან მირზოევის, ზაურ დარგალის, პაატა კვიჟინაძის და ირაკლი ზარქუას მიერ ინიციირებულ საქართველოს კანონების პროექტებზე „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა პირველი მოსმენისათვის განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების გოგი მეშველიანის, გელა სამხარაულის, სალომე ჯინჯოლავას, ქეთევან ჩარკვიანის, სალომე ქურასბედიანის, ირაკლი კირცხალიას, სავალან მირზოევის, ზაურ დარგალის, პაატა კვიჟინაძის და ირაკლი ზარქუას მიერ ინიციირებული საქართველოს კანონების პროექტები „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/373; 31.10.2023) და მათ მიმართ გააჩნია შემდეგი შენიშვნები:

I. „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიმართ იურიდიულ დეპარტამენტს გააჩნია შემდეგი შენიშვნები:

1. კანონპროექტის პირველი მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ს“ ქვეპუნქტი ყალიბდება კანონპროექტით წარმოდგენილი რედაქციით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ნორმის იდენტური სახით ჩამოყალიბებას ითვალისწინებს საკანონმდებლო პაკეტში შემავალი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-6 ნაწილი.

2. კანონპროექტი საჭიროებს დახვეწას იურიდიული ტექნიკისა და რედაქციული თვალსაზრისით.

II. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონების პროექტების მიმართ იურიდიულ დეპარტამენტს სამართლებრივი შენიშვნები არ გააჩნია. ამასთანავე, აღნიშნავს, რომ კანონპროექტები დასახვეწია სამართლებრივი ტექნიკისა და რედაქციული თვალსაზრისით.

ალექსანდრე ტაბატაძე

დეპარტამენტის უფროსი

შემსრულებელი: მ.მდივანი (მთავარი სპეციალისტი)